ᲨᲠᲝᲛᲐ

სურათებიანი დამაგები

დამატების № 11. **ქვიტა, 14 მაისი, 1906 წ.** **ფასი № 31.**

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა.)

ფელიქს გრასი.

II

კეთილი მღვდელი.

მეორე ღამეს, ვახშმათ რომ დავსხედით, გაჩქარებული ვჭამდი, სულ დაუღეჭავს ვყლაპავდი, რომ დროზე მიმესწრო პასკალის ამბის განგრძობისათვის. მოსვენებას არ მაძლევდა ის ფიქრი, რომ ვაი თუ პასკალმა სხვა რამ საქმე გამოიგონოს და აღარა გვითხრასრა. მე მაინც შევჭაჭე შემწვარი წაბლი და პურის ქერქები, გულს პაპა შესჭამდა ხოლმე. დედა ჩემი სიამოვნებით მიყურებდა, ისე მაძღრისათ რომ ვჭამდი — სხვა დროს ძალიან ცოტა ჭამა ვიცოდი

ჯერ პირი ისევ გამოტენილი მქონდა საჭმლით, როცა გამოვიღე სანათი, ავანთე და მივაწოდე პაპას.

— საით ეშურები, ბიჭიკო? — მითხრა მოხუცმა.

— წავიდეთ, წავიდეთ, პაპა, თორემ პასკალი უჩვენოთ დაიწყებს, — მივუგე მოუთმენლად.

პაპა ჩემი ძალიან კეთილი კაცი იყო და ყოველ ჩემს სურვილს ასრულებდა. გავუდექით გზას და მეჩექმის სახლში ჩვენ და პასკალი ერთად შევედით. ყველანი იქ იყვნენ, ოთახი თითქმის სავსე იყო: თამბაქოს ბოლით და ტყავის სუნით სუნთქვა ეხუთებოდა კაცს, მაგრამ ესეც ადვილად გადავიტანეთ.

მეჩექმე და იმისი შეგირდი აშურებდნენ საქმის გათავებას, რომ ხელი არ შეეშალათ პასკალის ამბისთვის. ბოლოს თუმცა, საზოგადოდ, მორიდებული ვიყავი, მაგრამ ამ ჟამად თაკი ვეღარ შევიკავე და წამოვიძახე:

— გვიამბეთ რაღა, პასკალ, როგორ ამოხვედით წყლიდან?

თითქოს ამ კითხვას ელოდაო, დაუყოვნებლივ განაგრძო თავისი ამბავი:

— ჩემო მეგობრებო, მე წყალში კი არ ჩავვარდი, ყინულზე დავეცი. ისეთი ცივი ღამე იყო, რომ წყალი გაყინულიყო. ძლიერის დაცემით მთელი სხეული შეირყა და გვიან მოვიკრიფე გონება.

ძლივს წამოვდექი, ამოვედი ნაპირას და დავწექი გაყინულ დედა-მიწაზედ.

რა უნდა მექნა? უდედ-მამო, უსახლ-კარო ბავშვი, ამ საშინელ ცივ ღამეში მარტოთ ვეგდე მინდორში. ყოველ ნაბიჯზე უბედურება მომელოდა, ტყეში მგლები იყვნენ, გზაში დაეთრეოდა მრისხანე სურტო, სასახლეში სცხოვრობდა ბოროტი რობერი. იმათგან შებრალება და შეწყალება არ შეიძლებოდა. ბრწყინვალე აზრმა გამიარა თავში, მომაგონდა, რომ ერთხელ კატეხიზმოს გაკვეთილზე ვიყავი სოფელ მალმორში და ჩვენმა მოძღვარმა, სხვათა შორის, გვითხრა: შვილებო, ნურას დროს ნუ დაივიწყებთ თქვენს ციურს მამას. როდესაც გეწვიოთ რაიმე მწუხარება ან უბედურება, მიმართეთ მას ლოცვით, ის შეგისმენთ. თუ შესაძლებელი იყოს, უკეთესს იზამთ, მაგისთანა წამებში წახვიდეთ ღვთის სახლში, როგორც კეთილ და გულ ხელ მეზობელთან და ნახავთ როგორ გიშველით.

ჩვენს მღვდელს ბანდულე ერქვა, ხშირად ვხედავდი სასახლეში მიმავალს. თუმცა ხშირად დადიოდა მარკიზის სახ-

ვეზუვიიდან გადმოდენილ ღამისაგან წალეკილ სოფლებიდან გახიზნულნი

უკანასკნელ ჩექმის ძირიც მიაკერეს და ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

ლობასთან, მაგრამ იმათ არა ჰგვანდა. ის ყველას ეგაასებოდა. მამას რომ შეხვდებოდა, ხელს ჩამოართმევდა და მოიკი-



ᲞᲝᲛᲞᲔᲘ.—ეს ქალაქიც თვრამეტი საუკუნის წინად ვეზუვიიდან ამოხეთქილმა ლამმა მთლად დაანგრია.

თხავდა, როგორ არიან იმისი ცოლ-შვილი: უყვარდა ხუმრობა და სიცილი საზოგადოდ, დიდად კეთილი და საუცხოვო ადამიანი იყო. სასახლეში მოსიარულეთა შორის მარტო იმისი არ მეშინოდა, როცა კი შეხვდებოდი, პატივის ცემით ქუდს მოვუხდიდი, ისიც სიყვარულით გამიღიმებდა და მეტყოდა:

გამარჯობა, ბიჭუნი.

ამიტომ გასაოცარი არ არის, რომ იმის მოგონებაზე დავმშვიდდი და გავწიე სოფელ მალმორისკენ. ჯერ იმის სახლთან არ მივსულიყავ, რომ შიშმა ამიტანა და ამაკანკალა. სასახლეში რომ გამგზავნოს და სურტოს მიმცეს! არა, ეს შეუძლებელია! ის კეთილია და დამიფარავს. მივედი კარებთან, ავიღე რკინა და სამჯერ დავაკაკუნე კარები. სახლში ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. კიდევ დავაკაკუნე, გავდექ განზე და დავუწყე სარკმელში ცქერა, თან ყურს ვუგდებდი. რამდენიმე წამის შემდეგ მომესმა ხმა:

— ჟანეტა,—იძახდა მღვდელი,—ვიღაც არახუნებს კარებს.

— არა,—მიუგო მოხუცმა ქალმა.—თქვენ გეჩვენებათ, ქარია.

მოვიკრიფე ღონე და კიდევ დავაბრახუნე.

— გესმის? მე მართალი ვარ: ვიღაც არახუნებს, წადი, ნახე.

სარკმელში სინათლე გამოჩნდა, მერე მოისმა ფეხის ხმა, ბოლოს მკითხა:

— ვინა ხარ?

— მე.

— ვინ შენ?

— პასკალი, პატინას შვილი.

— შემოდი!—დამიყვირა მოხუცმა:—ამ დროს რას დახეტიალებ? მღვდელსა სძინავს, რა გინდა?

კარები მიკეტა, კიბეზე ავედით. იმისმა მკაცრმა კილომ შემაფიქრიანა და აკანკალებულის ხმით ვსთქვი:

— მე მღვდელის ნახვა მინდა.

— მღვდლის ნახვა გინდა, ძალიან ყოყოჩობ!—წაიბუტბუტა მოხუცმა:—ამის გულისთვის შუაღამისხან წამოკხტით! ჩვენ მხოლოდ მომაკვდავებისთვის ვდგებით ღამე, სხვებს დღეც გავუძღებით.

ჩემს ბედზე კეთილმა მღვდელმა გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და დაიძახა:

— შეიყვანე სამზარეულოში და ცეცხლთან გაათბე. მე ეხლავ გამოვალ.

ჟანეტამ აღარა სთქვა-რა. ერთის წამის შემდეგ სამზარეულოში ვიყავით. აქ საჭმლის სუნი იდგა. ჟანეტამ საჩქაროდ ცეცხლი აანთო. ნამდვილ სამოთხეში მეჩვენა ჩემი თავი. მღვდელიც მაშინვე შემოვიდა გრძელ ხალათში, ჩუსტებით და ფარჩის თავ'აფარით.

— ეს შენა ხარ, პასკალ? კარგად გიქმნია, რომ აქ მოსულხარ; მე წაგიყვან მამაშენთან. ის ძალიან ნაცემია, მაგრამ არა უშავს-რა, კარგად გახდება.

ამ ლაპარაკში სულ მეალერსებოდა.

— სად არის მამაჩემი?—ვკითხე.

— საავადმყოფოში, დედაშენი უვლის. ხვალ დილით წაგიყვან იმათთან, ეხლა კი არ შეიძლება, შენ, უეჭველია, მშიერი იქნები. ჟანეტა არა გაქვს-რა?

— არაფერია,—უპასუხა ჟანეტამ,—ცოტა ბადრიჯანი-ღა დარჩა.

— შეჭამე რაც არის, ერთი ჭიქა ღვინოც დალიე,—მითხრა მღვდელმა:—მერე კი დაიძინე. გათენებისას საავადმყოფოში წაგიყვან.

მამაჩემი ცოცხალია და მღვდელი დამიფარავს სურტოსაგან! ეს საკმარისი იყო, რომ ჩემი თავი ბედნიერად მეგრძნო.

ვცდილობდი მეჭამა, მაგრამ ხახა ისე შემკროდა და პირი ისე გამომშრობოდა, რომ ძლივს-ღა ვღეჭავდი.

— იცი რა?—სთქვა მღვდელმა, რომ შემამჩნია ჩემი მდგომარეობა:—სჯობია ჯერ ღვინო ღალიო, მაშინ ადვილად სჭამ.

დამისხა ღვინო ფეხებიან ჭიქაში, რომელიც ბარძიმფეშხუმსა ჰგავდა.

დავლიე. რა ღვინო იყო, ჩემო მეგობრებო, რა ღვინო, სწორედ გასაოცარი! დალევის უმალ ღონე მომეცა. მერე ჭამას მივყავ ხელი და საჩქაროდ გავათავე. რაკი შიმშილი მოვიკალი, მოვყევი ბავშვურად უბედობას და ვუამბე, რაც გადამხდა იმ დღეს, კეთილი მღვდელი კი, ცეცხლთან ჩამო-

მჯდარი, ხელებს ითბობდა და მოთმინებით მისმენდა. როცა გავათავე, კიდევ დამისხა ღვინო. ღვინოს რო ვსვამდი, მღვდელმა პირი იქით შიიპრუნა, რომ ცრემლები არ დაენახვებინა ჩემთვის.

— ოჰ! რა საძაგელი ბატონები გვყავს,—სთქვა იმან და ხელები მაღლა ამართა:—რა საძაგელი ქრისტიანები არიან! ძე ღვთისა ჯვარზედ ეცვა, როგორც ბატონთა, ისე ყმათათვის, როგორც მარკიზთა, ისე გლეხთათვის. ოჰ, ბატონებო, ბატონებო, თქვენ დაიმსახურებთ რისხვას ღვთისას, რომელიც არ მოითმენს ხალხის ამოდენა შიმშილს და გოდებას! გაფთხილდით, თქვენი ციხე-დარბაზები დაიბუგება და შადრევანები სისხლს აღმოსჩქეფს. ცუდი ბოლო მოგელით, სულმდაბალო ბატონებო და ქრისტიანებო!

სთქვა ესა და ჩაფიქრდა, მერე მომჭიდა ხელი, გამატარა შშვენიერს სასტუმროზედ და შემიყვანა ოთახში, სადაც დიდი საწოლი იდგა.

— აი, დაწექი აქ და დაიძინე ეპისკოპ კარპენტრელის ლოგინში,—მითხრა ღიმილით, ლოყაზე ხელი გადამისვა, გავიდა და დამტოვა ჟანეტასთან.

არ ვიცოდი, რა მექნა ,ვერც კი ვბედავდი მივკარებოდი რასმე.

— რაღას [illegible]ურებ,—მითხრა ჟანეტამ უკმეხად,—გაიხადე და დაწე[illegible] მაგრამ არა გაისვაროს რა, ან იატაკზედ არ დააფურთხ[illegible] ან ზეწრით ცხვირი არ მოიწმინდო.

ჟ[illegible]ეტა გავიდა და კარი გაიკეტა.

საჩქაროდ გავიხადე ჩემი დაფლეთილი ტანსაცმელი და დავწექი ქვეშაგებში, რომელშიაც მთლად ჩავიფალი, ისე რბილად ვიწექ, ისე დამთბა და ისე კარგად ვიგრძენი თავი, რომ მაშინვე დამეძინა. ჩემს ღღეში არ მინახავს ამისთანა საწოლი.—ყოველთვის ჩალაზე ვიწექი, ამიტომ მეგონა, ჰაერში დავფრინავ.

არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა, მხოლოდ უეცრად საშინელმა ხმაურობამ გამაღვიძა. სისხლი გამეყინა ძარღვებში, კედელში რაღამაც დაიხრიალა მერე ზარის რეკა გავიგონე. ჯერ ვერ მივხვდი რაში იყო საქმე; როცა მეორედ მომესმა „ბუმ, ბუმ!“ მივხვდი, რაც იყო. ჩემი ოთახი სამრეკლოს ქვეშ იყო და სწორედ ზედ ჩემ თავზე რეკდნენ ცისკრისთვის.

ჯერ ზარის რეკა არ დათავებინათ, რომ ჟანეტამ კარები გააღო, შემოვიდა, ჩემს საწოლზე რაღაც შეკრული დასდო და თავისებურის ტლანქის ხმით მითხრა.

— ადექი და, აი, ჩაიცვი ეს ტანისამოსი, ჩქარა კი, მღვდელი არ დააგვიანო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: თვალწინ მეწყო ახალი ხალათი, შარვალი, ჩულქები, ფეხსაცმელი და ქუდი, საჩქაროდ ჩავიცვი და ჩავედი სამზარეულოში.

მღვდელი მაგიდასთან იჯდა და ფინჯნით რაღაც შავი წვენი ედგა. რომ დამინახა, გაეცინა და ალერსით მითარა:

— იჰ, ლამაზი ბიჭი გახდი, თითქოს მარკიზის შვილი იყო. აბა ეს დალიე, ვნახოთ, მოგეწონება.

მოსწია ჩემსკენ მეორე ფინჯანი ისეთისვე შავის წვენით, დავლიე, მაგრამ არ ვიცოდი რა იყო, მხოლოდ შვიდის წლის შემდეგ გავიგე, რომ ყავა ყოფილიყო; მაშინ ჩემს გამოზდაში მეორედ დავლიე ყავა იაფაში, ბრძოლის შემდეგ. ბონაპარტი ყავას ასმევდა თავის ჯარს პირის ასაცდენად.

— მოგწონს?—მკითხა მღვდელმა, ტუჩების წმენდით.

— ძალიან.

— მამასთან წასვლა გინდა?

— ძალიან მინდა.

— წავიდეთ, მაგრამ ხალათი კარგათ შეიკარ, ძალიანი ცი[illegible]

გავედით ქუჩაში. გათენებულიყო. ეკლესიის მოედან[illegible] რომ გავიარეთ, მღვდელი შედგა სისხლის გუბესთან.

— უბედურები!—სთქვა მან:—ერთმანეთს ჟლეტენ. ხა[illegible] ხის შვილები, ერთის ბატონის მონანი, ერთს ტვირთ ქვ[illegible] მყოფნი, თავის საკუთარს სისხლსა ღვრიან, საკოდავები, საკ[illegible] დავები, ვერ მოუხერხებიათ ერთად შეერთება და ერთმანეთ[illegible] დაცვა...

ბოლოს მე და მღვდელი მივედით საავადმყოფოში, შევ[illegible] დით ოთახში, სადაც ორსავე მხარეს საწოლები იდგა. ერთ[illegible] საწოლის თავთან დედაჩემი იდგა და მე იქით გავექანე. დედ[illegible] ტირილით გადამეხვია. მივბრუნდი საწოლისაკენ და დავკოკენ[illegible] საკოდავი მამაჩემი.

პასკალ, პასკალ! — შენა ხარ შვილო?

თვალცრემლიანმა დავინახე მისი შეშუპებული სახე[illegible] მთლად დამსქდარი ცემით და მარჯვენა თვალი ჩასისხლიანე[illegible] ბული და დაშრეტილი. ერუანტელმა დამიარა ტანში, კბილე[illegible] ბი დავაკრაჭუნე, ხელები შევკუმშე, მზად ვიყავ იმ წამს ცე[illegible] ცხლი მომეკიდებინა მარკიზის სასახლისათვის და მომეშხამ[illegible] ის ჭა, რომლიდანაც სასახლის მცხოვრებნი წყალსა სვამდნენ, მაგრამ უღონო ბავშვი ვიყავ, მხოლოდ ტირილი შემეძლო და უღონოდ ვიმეორებდი:

— ოჰ, როდის გავიზდები, როდის გავიზდები!

მამაჩემი წამოჯდა საწოლში და საბანი გადიხადა.

— რათ იხდი საბანს?—უთხრა დედამ და მიხურა საბანი

— მომისმინეთ, ცოლო და შვილო, აი რას გეტყვით; თქვენც, მამაო დღეს ამ დილითვე წადით ყველანი სასახლეში ჩვენს კეთილ ბატონთან, მარკიზა ადეანდასთან და ბატონ[illegible] რობერთან, დაუჩოქეთ, მოგვიტევონ ჩვენ ყველას. ისიც მოახსენეთ, რომ, როგორც მორჩები, მეც წავალ ბოდიშის მოსახდელათ.

— არა, არა!—გააწყვეტინა მღვდელმა: როცა მორჩები მაშინ ვნახოთ, როგორ მოვიქცევით.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!—სთქვა მამამ,—რას იფიქრებენ ჩვენი კეთილი ბატონები, რომ ბოდიშის მოსახდელად არავინ მივდივართ. მაგრამ, რაკი, თქვენ, მამაო უდროოთ მიგაჩნიათ, უნდა დაგმორჩილდეთ.

— დიაღ, დიაღ, უნდა გამიგონოთ. დამშვიდდით, მე ყველაფერს მოვაგვარებ. შენ კი პასკალ, ამაღამ ჩემთან მოდი. გესმის?



ქალაქი ბოსკო, რომელიც აპრილში დაანგრია იმავე ვეზუვიიდან ამონახეთქმა ლამმა.

— დიაღ, მამაო,— მივუგე მე და ისეთის პატივის ცემ[illegible] შევეყურებდი, თითქოს მეორე მაცხოვარი იყო, ქვეყნად მ[illegible] ვლენილი.

მღვდელი რომ წავიდა, მე მამაჩემის სიტყვები მამაგო[illegible] და ავწითლდი. სისხლი ამივარდა თავში იმ ფიქრით, რ[illegible] მამაჩემი მგზავნიდა მარკიზთან ბოდიშის მოსახდელად. იმ წ[illegible] ში მამაჩემი მძულდა და მზად ვიყავ ხელი შემეხო მისთვ[illegible]

მაგრამ დიდხანს არ ვიყავ იმ ფიქრში. მომესმა მღვდლის ლაპარაკი ოთხ დედაკაცთან, რომელნიც საწოლებთან ისხდნენ და თავიანთ ქმრებს უვლიდნენ. იმითმა სიტყვებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია და ჩემი მწუხარება დამავიწყა. ერთს ავადმყოფს ლოყა ჰქონდა ნახევრად მოგლეჯილი, კბილები უჩანდა, მეორეს დამსხვრეული ჰქონდა ორივე ფეხი, მესამისთვის ზურგში დანა დაეცათ, ხოლო მეოთხეს მუცელი ჰქონდა გამოფაშული და ნაწლავები უჩანდა.

— ეგ როგორ მოხდა?—ჰკითხა მღვდელმა.—რომელმა უსინდისოებმა მიგაღწევინეს მანდამდე.

— არცერთი არ ამბობს,—სთქვა ოთხივე დედაკაცმა:— ასე გვიამბეს, ჰაპის მომხრეები დაგვეცნენ, ლიბერალები დაგვიძახეს და ასე სასიკვდილოდ გვცემეს, როგორც თქვენი თვალიც ხედავსო.

მერე სათითაოდ დაუმატეს:

მართლაც ყველაფერს ვერ იტყვის კაცი.

— მდიდრები ყოველთვის მართალნი არიან.

— ყველა უბედურება ლიბერალების და პაპისტების შელაპარაკებით მოხდა.

— თუ იმ საზიზღარ სურტოს ნახავთ, ის ყველაფერს გიამბობთ.

— ნუ შფოთავთ, კეთილნო, სთქვა თვალცრემლიანმა მღვდელმა. მოუარეთ თქვენს ქმრებს, მე კი ვიზრუნავ თქვენთვისაც და თქვენი შვილებისთვისაც.

შემდეგ მღვდელი სათითაოდ ყველა ავადმყოფთან მივიდა, უნდოდა იმათგან გაეგო საქმე; მაგრამ იმდენათ იტანჯებოდნენ საცოდავები, რომ კრინტიც ვერ დასძრეს. რაკი ვერა გაიგო-რა, მღვდელი თავის ქნევით გამობრუნდა და წავიდა შინისკენ.

სურტოს სახელი რომ გავიგე, ცახცახმა ამიტანა: ის საზიზღარი გერმანელი ყოვლის მომქმედი იყო. მგელზედ მეტად იმისი მეშინოდა, ვიცოდი, რომ დამეძებდა, ვიცოდი, გადამიხდიდა ჩემის საქციელისათვის, თხუთმეტის წლისა ვიყავი, მაგრამ ის კი მესმოდა, რომ თუ დამიჭერდა, უწყალოდ მცემდა და მერე სასახლის ბაღში ერთ-ერთ ხეზე ჩამომახჩობდა, ამ შიშით მთელი დღე საავადმყოფოდან გარეთ არ გამიხედნია, დარწმუნებული, რომ აქ არავითარი ხიფათი არ შემემთხვეოდა.

რა დაღამდა, გავბედე მღვდლის სახლში წასვლა, უცბად ქუჩიდან მომესმა პატარა ზარების ხმა და გალობა. დაი ლუიზა, რომელიც ავადმყოფებს უვლიდა, მივიდა სარკემელთან და სთქვა:

— ეს ზარები უთუოდ რომელსამე მომაკვდავთან მიაქვთ. ნეტა ვინ უნდა იყოს?

ფეხის ხმა მოახლოვდა, კიბეზედ ამოდიოდნენ. ოთახში შემოვიდა ექვსი კაცი თითო საბერო შესამოსში პირბადეებით, რომლებს ქვეშიდანაც გამოიყურებოდა მხოლოდ იმათი თვალები.

ერთი მათგანი ძალიან დამაცქერდა, შიშით მამა-ჩემის საწოლს ამოკეფარე. ბერებმა დანები გამოიღეს სახელოებიდან, მისცვიდნენ იმ უბედურ ოთხ ავადმყოფს და დაუწყეს უწყალოდ კეფა. დედაკაცებმა წივილ-კივილი შეჰქმნეს, და ლუიზა ხან ერთ ავადმყოფს მიეშველებოდა, ხან მეორეს, უნდოდა შეეყენებინა ეს ჯალათები, მაგრამ იმასაც ისე ძლიერად ჰკრეს წიხლი მუცელში, რომ საწყალი მამიჩემის საწოლზედ დაეცა. დედაჩემს გული შეუწუხდა.

როცა ის უბედურები დახოცეს, ბერები ჩუმად გავიდნენ. მხოლოდ ერთი მათგანი დარჩა, ის მოუახლოვდა მამაჩემის საწოლს, დაიხარა და გამომათრია. მე ნადირივით დავიღრიალე, მაგრამ მშველელი არავინა მყავდა. აქედან ქუჩაში გამათრია და მეც ძალა-უნებურად უნდა გავყოლოდი. დრო და დრო ვყვიროდი: მიშველეთ! მიშველეთ!

ბევრს სახლში გამოაღეს სარკმელი, მაგრამ ჩემს საშველად მაინც არავინ გამოვიდა.

ვინ იყო ეს კაცი? რა უნდოდა ჩემგან? ერთსაც და მეორესაც მაშინ მივხვდი, როცა ლესგარდის სასახლისაკენ შევუხვიეთ. ეს იყო სურტო, მე დაღუპული ვიყავ!

—

მოხუცი პასკალი მოულოდნელად შეჩერდა, სამზარეულოში შემოვარდა მეჩექჩის ცოლი. მივარდა ლამპას, ჩააქრო და შეკნა ყვირილი:

— მგონია ყველანი დაგიჟდით! აგერ თორმეტი საათია, ჩემი ქმარი და იმისი შეგირდი ეს ორი საათია აღარა მუშაობენ. აბა სადაურია უბრალო ყბედობისათვის ამოდენა ნავთსა სწვამთ, არა გცხვენიანთ.

— დამაცადე შე საზიზღარო,— მიუგო ქმარმა კბილების ღრაჭუნით. მე გაჩვენებ შენ თამაშას. იმათ ჩხუბში ჩვენ ხელის ცეცებით გამოვედით და შინისკენ გავწიეთ. ქუჩაში მიმავალთ გვესმოდა როგორ უტყაპუნებდა მეჩექჩე თავის ცოლს.

ეღენე ანტონოვსკისა.

(შემდეგი იქნება)

რა ამბავია რის შეკრებილხართ, ხომ იცით ერთდ თავის მოერა არ შეიძლება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიახამიძე.

ელიკტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.